



პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების  
უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 05

2019 წ. “ 05 ” 12

ქ. თბილისი

სსიპ კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიული მომზადების  
პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების  
მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და  
პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული  
მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,  
შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების  
მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 205339944) მიეცეს უფლება  
განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიული მომზადების პროგრამები:

პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში		მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა
					მინიმ.	მაქს.	
მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advance)	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	5	14	42
PHP დეველოპინგი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	5	14	42

2. სსიპ - კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას მსმენელთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 84-ით;
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 5 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით.

მისამართი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე  
მარიამ ქუჩულორია

მდივანი  
მარიამ ზაქარეიშვილი